ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2871921

ნომერი: AR1443949

თარიღი : 26.09.2016

გაცემის თარიღი : 04.10.2016

გაცნობის თარიღი : 21.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N 15 / ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა I , N 18/3 , (ნაკვ.02/006) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანველ ოგანეზოვი პ/ნ 01012010017
- თბილისი აეროდრომის დას. III ქ. N 13

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1443949 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.19.36.002.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 26 სექტემბერს #AR1443064 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე თემურ გაგნიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.19.36.002.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #2863153 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომდხარა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, #01.19.36.002.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის შეთანხმებასთან და მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის (01.19.36.002.042) მითითების შემთხვევაში.
